



# არსენალი

საქართველოს  
არსენალი

123

№ 6 (35). ივნისი, 2007. „კვირის აალიზა“. სემბლარ-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

**გამანადგურებელი  
გვჭირდება, მაგრამ  
არა ჩიხური „ალკა“**

**გამოუქვეყნებელი  
ცნობები აფხაზური  
დასანბის შესახებ**

1425  
2007



**იბალიის  
ანტიტერორისტული  
ქვედანაყოფები**

**როგორ დაიღუპა  
„შავი ქორი“**

**გერმანული  
კუბისტის გამოცდა  
ავღანეთში**

**აღლუმი-2007  
სად გაიშარტება  
შემდეგი?**



ქართველი და  
ამერიკელი  
სამხედროების  
ბოლო რანდევუ  
ქრანისში

12



„შვად ვარ  
ვეფსესურო  
სამეოგლოს  
ყველგან, სადაც  
დავჭირდები“...

10



აღლუები — 2007  
პაბრიოგული  
სულისკვეთების  
აქაღლუება...

6

გვჭირდება თუ არა  
ჩინური  
გაენანღბურიკელი



16



გერგანული  
პაუგისა  
ავღანულ  
თალიბანგზე  
გაეოცადეს

26



რით ვეცვლიან  
ამოეურ ბოგეს

42

# სარჩევი

- კალედოსკოპი
- 4 უცხოური ამბები
- დღესასწაული
- 6 ალტუმი - 2007
- საქართველო
- 10 „მზად ვარ ვემსახურო სამშობლოს ყველგან, სადაც დავჭირდები“...
- ნერთა
- 12 ქართველი და ამერიკელი სამხედროების ბოლო რანდევუ კონანისის პოლიგონზე
- საქართველოს ისტორია
- 14 დიდგორის ბრძოლა
- შეიარაღება
- 16 გამანადგურებელი გვჭირდება, მაგრამ არა ჩეხური „ალტა“
- გამოხმაურება
- 19 აფხაზური ტესანტის შესახებ...
- სპეცსამსახურები
- 20 რუსეთის სამხედრო დაზვერვა
- 23 მსტოვრობის ისტორია საქართველოში
- 24 სამხედრო ტექსიკონი
- კონსულტაცია
- კვალიფიციური რჩევები
- იარაღი
- 26 გერმანული ჰაუბიცა ავტანელ თათლებზე გამოცადეს
- საკაივარი
- 30 „ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?“
- საგანგებო ოპერაციები
- 33 შენყვებილი ფრენა – როგორ დაიდება „შავი ქორი“
- ფლოტის ისტორიიდან
- 37 გერმანული VII სერიის ნყალქვემა ნავები საბჭოთა „შჩუკების“ წინააღმდეგ
- ფლოტი
- 40 ესტონეთის სამხედრო-საზღვაო ძალები
- ტექნოლოგიები
- 42 „კეთილი“ ძველი ატომური ბომბი
- ელტა
- 46 იტალიის ანტიტერორისტული ქვედანაყოფები
- კროსკორდი
- 51 არსენალტვორიდი
- ქართული იარაღი
- 52 ქართული ხალხურ დანა \_ მივიწყებული მეგობარი
- „არსენალის“ იარაღის მალაზია
- 54 „ქეხილი“ რუსულად, ანუ „კალაშნიკოვი“ შებრუნების

## რედაქციის სვაში

„არსენალი“ პირველი ნომერი 2004 წლის 26 მაისს გამოვიდა, ასე რომ, უკვე სამი წლის ვართ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მცირე ხანია, თუმცა ამ მოკლე პერიოდში „არსენალმა“ მოასწრო თავდაცვის უწყებასთან როგორც კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება, ისე სერიოზული დაპირისპირებაც.

დღეს ორივე წარსულს ჩაბარდა. ახლა ჩნდება პერსპექტივა თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, რითიც უპირველესად „არსენალის“ მკითხველმა უნდა მოიგოს, ისევე როგორც არმიამ, რადგან საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება ობიექტურად და პროფესიულად გაშუქებული ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის დამცველებზე.

ირაკლი ალადაშვილი  
მეორეი შორეულიანი

ყურადღება!  
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესისა წიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.  
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეტენა შეგიძლიათ რედაქციაში

გახეთ „კვირის ჰალიტის“ დამატება ©  
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებძის ქ. №69.  
ტელ: 38-37-47  
email: arsenal@kvisripalitra.com  
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

საქართველო  
კვლევის  
ცენტრი  
არსენალი

# თურქეთი F-16-ების დიდ პარტიას იყიდის



თურქეთმა გააფორმა შეთანხმება კორპორაცია LOCKHEED MARTIN-თან მოდიფიკაცია BLOCK 50+-ის გამანადგურებლის F-16-ების მიწოდებაზე. როგორც SOUTHEAST EUROPEAN TIMES იუწყება, კონტრაქტის ღირებულება 1, 8 მლრდ ევროს შეადგენს. საბრძოლო მანქანების მიწოდება 2011 წელს დაიწყება და 2012 წელს დასრულდება. მომავალი 20 წლის განმავლობაში თურქეთი 10,7 მლრდ დოლარად ღირებული მესამე თაობის F-35 LIGHTNING II-ის 100 გამანადგურებლის შესყიდვას გეგმავს. F-35-ების მიწოდება თურქეთში 2014 წელს დაიწყება. 2006 წელს თურქეთმა და LOCKHEED MARTIN-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ადრე მიწოდებული F-16-ებიდან დაახლოებით 117 საბრძოლო მანქანის მოდერნიზაციის შესახებ.

# გამანადგურებელი F22A RAPTOR-ი მუზაუმი დაიღებს ბინას

2007 წლის 18 მაისს, რაიტ-პატერსონის ბაზაში მდებარე აშშ-ის საშფერო-საჰაერო ძალების საავიაციო მუზეუმში ბინას დაიღებს მსოფლიოში მესამე თაობის პირველი გამანადგურებელი F-22A RAPTOR-ი. თვითმფრინავი 1999 წელს აიგო, ის საფრენი-სავამოცდო და ტექნოლოგიური ამოცანების გადასაწყვეტად იყო განკუთვნილი. 2001 წლიდან მუზეუმის ექსპონატებს შორის ბინა დაიღო გამანადგურებელ YF-22-ის პროტოტიპიც.




# იაკონიას სისტემა AEGIS-ზე ინფორმაცია მოჰპოვებს

იაპონიის პოლიცია და თავდაცვის სამინისტროს კომპლექტური ორგანოები იძიებენ სასწავლო ცენტრ უტაჯიმიდან ამერიკული წარმოების საზომადლო ბაზირების რაკეტასაწინააღმდეგო საიდუმლო სისტემა „იჯისზე“ ინფორმაციის გაჟონვის საქმეს. ეს სისტემა აშშ-ში შესყიდულ კლას „ორიდი ბარკის“ საესკადრო ხომალდებზეა დაყენებული.

როგორც რიოტერი იუწყება, ინფორმაცია ცენტრის 33 წლის თანაშრომელმა გაიზანა, მას ცოლი ჩინელი ჰყავს. მიმდინარე წლის მარტში ოფიცერი ცენტრიდან კომპიუტერული დისკის გატანის მცდელობისას დააკავეს, დისკი სწორედ AEGIS-ზე ინფორმაციას შეიცავდა, მოგვიანებით ანალოგურ გარემოებებში დააკავეს კიდევ რამდენიმე ოფიცერი.

ექსპერტთა შეფასებით, AEGIS-ი ყველაზე სრულყოფილი სისტემაა სადღეისოდ. სისტემაში შედის რადარი SPY-1, რომელიც უზრუნველყოფს 10-მდე ბალისტიკური მიზნის გაკონტროლებას, STANDARD MISSILE SM 0-2-ის რაკეტები, რომლებსაც ბალისტიკური სამიზნეების კინეტიკური განადგურება შეუძლიათ, რაკეტა MK 41-ის ვერტიკალური გაშვების სისტემა, ასევე შეარაღების მართვის სისტემა. AEGIS-ის პირველი სისტემა შეიარაღებამი 1983 წელს შევიდა. სულ გამოუშვეს 100 სისტემა, ამჟამად შეიარაღებამა 80. AEGIS-ში ჩადებულია დია არქიტექტურის იდეოლოგია სისტემის მოდერნიზაციის მაღალი პოტენციალით უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. აშშ-ში შესყიდული საესკადრო ხომალდები ARLEIGH BURK-ები, ჯერჯერობით, არ არის აღჭურვილი SM-2 რაკეტების გამშვები სისტემით, მათ წლის ბოლომდე დააყენებენ სუთი საესკადრო ხომალდიდან ერთ-ერთზე.



# ჩრდილოეთ კორეამ ირანში ახალი რაკეტა გამოცადა



სამხრეთ კორეისა და აშშ-ის სადაზვერვო წყაროების მონაცემებით, ჩინეთმა ირანში უახლესი საშუალო რადიუსის მიწველების ბალისტიკური რაკეტა MUSUDAN-ი გამოცადა. რაკეტა სამხედრო ექსპერტებს პირველად ფეხნაინში წარუდგინეს 2007 წლის 25 აპრილის სამხედრო ავლუმის დროს. ვარაუდობენ, რომ მისი სიშორე 2,5 ათასიდან 4 ათას კმ-ს შეადგენს.

# ავსტრალიაში ნაპოლეონის ნაპოლეონის ნაპოლეონის


ავსტრალიის სანაპიროსთან ნაპოლეონ ააბორი წყალქვეშა ნავის ნარჩენები, რომელიც 1942 წელს სიდნეის უტყვედა. ავსტრალიის მთავრობამ გადაწყვიტა, არ ამოიღოს ამ ნავის ბორცვი ნაპოლეონ ორი მუზეუმის ნიშნით. 1942 წელს სამხ ააბორიუმ სუბმარინამ იერიში მიიტანა ნავსადგომში მდებარე აბორიონ კრისტიან „ჩიაკოლუ“. მისი ჩაბრუნება არ მოხერხდა, მაგრამ ტორპედოთაგან ერთ-ერთი ავსტრალიურ სამხედრო ხომალდს „კუტალუს“ მოხდა. დაიღუპა 19 ავსტრალიელი და ორი ბრიტანელი მუზეუმერი. სამი წყალქვეშა ნავიდან ორი საპასუხო ცეცხლით ძალზე დაზარდა, ჩაიძირა მათი ეკიპაჟებიც. მესამე დღისათვის ეფინი უტყველოდ დაკარგული, მაგრამ ამ წლის ნოემბერში მოყვარულმა აკვადანგისტებმა მისი ნარჩენები ავსტრალიის სანაპიროებიდან 50 კმ-ში იპოვეს. ავსტრალიის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ სუბმარინის წყლიდან ამოღება მეტად ხარისხიანი და შრომატევადი იქნება, მაგრამ ის ადვილი, სადაც სუბმარინა ჩაიძვრილი, ისტორიულ ადგილად გამოცხადდეს.

# ერაყის ომში 12 „პრინსი პარი“ იბრძობლებს!



იმ სამხედრო დანაყოფის ვარისკაცებმა, სადაც ამჟამად მსახურობს პრინცი პარი, სამეფო ოჯახის წევრს თანადგომა გამოუცხადეს და თურთმეტი წითური პარიკი შეიძინეს, რათა ერაყში ოპერაციის დროს ამოსვლებს ვერ გამოიყენონ ნამდვილი პრინცი. სადაზვერვო ვაგმანკავალერიის პოლიკის დანაყოფმა BLUES AND ROYALS-ს, რომელიც 12 კაციდან შედგება (პრინცის ჩათვლით), მტრის გასაცურებლად და ცნობილი ახალწვეულის დასაცავად სავანებში შეკრიბილი ფეხბურთის მაისურებიც, წარწერით „მე პარი ვარ“, მოიძარავა. 22 წლის პრინცი პარის, რომელსაც კავალერიის ლეიტენანტის წოდება უბოძეს, ეს სუბრობა მეტად ახალი სესეს. უცნობია, ნამდვილ ბრიბოლებში მიახერხებს თუ არა პოლიკა ამ ენსკური მეთოდის გამოყენებას. ვაგრჯერობით კი ვარისკაცებს აკრძალული აქვთ წითური პარიკების ტარება სამხედრო ოპერაციების დროს და ისინიც მხოლოდ თავისუფლად დროს იხერხებენ გასართობად. დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძალების გენერლების მეთაურის რიზარდ დენარის თქმით, მოუხდევად სამშობრებისა, რომ შეიძლება სნაიპრების უბრველესი სამიხუნე შეიქნეს, პრინცი პარი ძალე ერაყის პროვინცია მისსანში ვაგეზავრება მისის შესასრულებლად.

# Kitty Hawk-ი უკანასკნელ ლაშქრობაში გაემართა



USS Kitty Hawk

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიამობილი Kitty Hawk თავის უკანასკნელ ლაშქრობაში გაემართა. როგორც წინარი ოკეანის ფლოტის ხელმძღვანელები თუწყება, ავიამობილ მსარდატკრის ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების თანხლებით სამხედრო-საზღვაო ბაზა ოიკოსუკის ნავსადგურშიდან გავიდა. ხომალდების დაჯგუფება წინარი ოკეანის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში მანევრებს ჩაატარებს, შედეგ კი აშშ-ის სანაპიროსკენ გაემართება. დიხულისძირავიანი ავიამობილი Kitty hawk-ი წყალში 1961 წელს ჩაუშვეს და მონაწილეობდა რამდენიმე მსხვილმასშტაბიან სამხედრო ოპერაციებში. 1998 წლიდან ის აშშ-ის ფლოტის ერთადერთი სამხედრო ხომალდია, რომელიც მუდმივად საზღვარგარეთ იყო დისლოცირებული. 2008 წელს მას შეცვლის ახალი ატომური ავიამობილი George Washington-ი. ავიამობილების ორტაციამ პროტესტი გამოიყენა ააბორიაში. ამ ვეცემს კრიტიკოსები დარწმუნებულინი არიან, რომ ააბორიის სანაპიროებთან ატომური ძალური დანადგარი ავტოურილი ხომალდის ყოფნა გაუარესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას და ხელს შეუწყობს რეგიონში დაძაბულობის ზრდას. ააბორიის მთავრობა, თავის მხრივ, მხარს უჭერს აშშ-ის სამხედროების განზრახვას ხომალდთა დაჯგუფების რეორგანიზაციის თაობაზე.



USS George Washington

ერაყიში. კერძოდ, ვიეტნამისა და ერაყის ომებში. 1998 წლიდან ის აშშ-ის ფლოტის ერთადერთი სამხედრო ხომალდია, რომელიც მუდმივად საზღვარგარეთ იყო დისლოცირებული. 2008 წელს მას შეცვლის ახალი ატომური ავიამობილი George Washington-ი. ავიამობილების ორტაციამ პროტესტი გამოიყენა ააბორიაში. ამ ვეცემს კრიტიკოსები დარწმუნებულინი არიან, რომ ააბორიის სანაპიროებთან ატომური ძალური დანადგარი ავტოურილი ხომალდის ყოფნა გაუარესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას და ხელს შეუწყობს რეგიონში დაძაბულობის ზრდას. ააბორიის მთავრობა, თავის მხრივ, მხარს უჭერს აშშ-ის სამხედროების განზრახვას ხომალდთა დაჯგუფების რეორგანიზაციის თაობაზე.

# აღლუგი

ვისთვის შეღმეტობა ვისთვის კი —

კაბრიოლეტი სულისკვეთების ავალღება...



10396 ააცი და ქალი შეიარაღებული ძალებიდან, 3500 რეზერვისტი, 245 საბრძოლო და სატვირო მანქანა, 40-მდე საფრენი აპარატი – აი, ის მოკლე ჩამონათვალი, რისი ნახვაც შეიძლებოდა 2007 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ატლუმზე.

თუმცა ამ შშრალი ციურების უკან დიდი ჯაფა და ადამიანების ბედი იმალება. რა თქმა უნდა, არ შეიძლება დედაქალაქის ცენტრში ჩატარებული ატლუმებიდან


გამოიტარო დასკვნა ქართული არმიის უძლეველობაზე (როგორც ამას ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აკეთებს), მაგრამ წელიწადში ერთხელ, ალბათ, მაინც აუცილებელია ვაჩვენო და საზოგადოების შეხვედრა.

ვინც ამბობს, რა გვევალუმებო, მათ ოპონირებას უწევს საზოგადოების ის ნაწილი, რომელთა პატრიოტულ გრძობას სიამაყით აღავსებს ატლუმზე ნანახი საქართველოს დამცველთა მწყობრი ნაბიჯი და შემართება.

ისიც აღსანიშნავია, რომ ატლუმზე პრეზიდენტის – უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე საქართველოს შეიარაღებული ძალების თითქმის ყველა დანაყოფის წარმომადგენელი ჩაივლის. მათთვის კი, ბრწყინვითი, გასასარია წელიწადში ერთხელ



საქართველოს დროშის ფერები თბილისის თავზე Cy-25-ების „შესრულებით“...



მაინც ტაშისა და მისალმებების თანხლებით დედაქალაქის ცენტრში გავლა.

2007 წლის 26 მაისის ატლუმში წინამორბედებისგან ძირითადად იმით განსხვავდებოდა, რომ თითქმის მთელი ჯარი ერთნაირ კამუფლირებულ სამხედრო სამოსში იყო გამოწყობილი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 16 წლის განმავლობაში ეს ვერ მოხერხდა და ნამდვილად მისასლმებელია, რომ პირველად ქართულ არმიას თავისი ფორმა და არა ნათხოვარი თუ ნაწუკარი აცვია. ახალი კამუფლაჟი ძალიან წააგავს ამერიკელი საზღვაო ქვეითებისას, თუმცა უდაბნოსფერის ნაცვლად მწვანეა და არცთუ ისე ცუდად ენაბება ჩვენი ქვეყნის ფლორას.

ეს პირველი ატლუმი იყო თავდაცვის მინისტრ კეხურაშვილისთვის და გაერო-თანებული შტაბის უფროსისთვის, პოლკ-



ქართული არმია წელს პირველად შეიმოსა ერთნაირი კამუფლირებული ფორმით



**სამხედრო სატვირთო KpA3-ებში  
პირველად გამოჩნდნენ  
რუსთაველზე...**



დედაქალაქში ჩამოყვანაც აღარ იქნება საჭირო, მათი მძლეობა-შექანისთვის და ქვეითებიც ვაზიანში იფარჯიშებდნენ, რაც ისედაც ხდება.

ტრიბუნების დადგმაც პრეზიდენტისა და საპატიო სტუმრებისთვის ვაზიანში უფრო ადვილია, ვიდრე ხალხმრავალ რუსთაველის პროსპექტზე. თუკ ალუმის ნახვის მოყვარულებიც საკმაოდ გამოჩნდნენ, არც მათთვის გაძნელება ავტობუსების მოძებნა თბილისიდან (ან სხვა ქალაქებიდან) ვაზიანში მისაყვანად და წამოსაყვანად. გვერწმუნეთ, ვაზიანში ბევრად უფრო შთამბეჭდავი და სანახაობრივი აღლუმის მოწყობა შეიძლება, რომელიც დიდძალს დარჩება საზოგადოების მესხიერებაში.

*ირაკლი ალადაშვილი*

ოინგი გოვაგასთვის. მართალია, აღლუმში მონაწილეობა რიცხვი ოდნავ ჩამოუვარდებოდა გასული წლისას, მაგრამ წლებგანდებლმა აღლუმმა მაინც კარგად ჩაიარა, მთავარი ზომი გრანდიოზულობა არ არის.

„არსენალს“ ერთი მოსაზრება აქვს ჩვერტურ აღლუმებზე. რუსეთი რომ რუსეთია, ბოლო 15 წლის განმავლობაში მასაც კი არ გამოჰყავს მძიმე ტექნიკა წითელ მიედანზე გამართულ აღლუმებზე.

მუხლუხებიან მძიმე საბრძოლო ტექნიკას რუსთაველის პროსპექტზე აღარც ქართული არმია აწევებს მისი გაფუჭების საშინოოების გამო.

თუკი ხელისუფლებას ხურს მაინცდამაინც ევექტურა და შთამბეჭდავი იყოს აღლუმები, ზომი არ აჯობებდა მისი გამართვის ადგილის სხვაგან გადატანა? ამ მხრივ ყველაზე მისაღებია ვაზიანის სამხედრო ბაზა, რომლის აეროდრომის დამზნაერ ბუტონირებულ ბლიკზე უფრო ევექტურად შეიძლება ქართული არმიის შეიარაღების ჩვენება, თანაც, აქ მუხლუხებიან ტანკებსაც გამოიყვან და თვითმავალ საარტილერიო დანაჯერებსაც, ისე, რომ საფრის დაზიანების შში არ გვექნება. არც ათასობით უკმაყოფილო მძილილი გვეყოლება, რომლებიც იმ დღეს გაუცვალ საკობებში იდგნენ. ვაზიანის აეროდრომი ასევე მისწრება შთამბეჭდავი საჰაერო შოუს მოსაწყობად, რაც გამორიცხავს შვეულმფრენებისა და საბრძოლო თვითმფრინავების დედაქალაქის თავზე დაბალ სიმაღლეზე გადაფრენას, რომელიც ყოველთვის საზიფათია. ასობით სატვირთო მანქანისა და საბრძოლო ტექნიკის

**ჩვიანი დღისით: 2007 წლის**  
26 მისის რუსთაველის გამზორზე  
1389 სამხედრო მოსამსახურის  
გარდა, ჩაიარა 80-მდე მალა-  
ლი გამავლობის LAND ROVER-მა,  
19 ჯავშანტრანსპორტიორმა ETP-  
80-მა, 12-მა 152 88 კალიბრის  
თვითმავალმა საარტილერიო  
დანადგარმა DANA-მ, KamAZ-ის  
ტიპის 14-მა და KpA3-ის ტი-  
პის 120 სამხიდიანმა სატვირ-  
თო ავტომობილმა. პარლამენ-  
ტის შენობას გადაუფრინა UH-  
1H ტიპის სა88ა, Ми-8 ტიპის  
11-მა და Ми-24 ტიპის 7 სა-  
ბრძოლო შეველმფრენმა, 6-მა  
მოიერიშე Cy-25-მა და ოთხმა  
სასწავლო-საბრძოლო L-39 „აღ-  
ბატროსმა“.





იმედია, თვალი (ფოტობიექტივი) გატყუებს და შვეულმფრენების სახიფათო დახლოება ადღუმის დროს თბილისის ცაში რეალურად არ მომხდარა...



DANA-ს გამორჩენს ადღუმებზე ქართველი საზოგადოება უკვე მხივრება

თითქმის ორი წლის განმავლობაში სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალს“ და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის დაძაბული ურთიერთობა იყო, რასაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. ამის გამო უპირველესად „არსენალის“ მკითხველი ზარალდებოდა, რომელიც საქართველოში გამომავალ ერთადერთ დამოუკიდებელ სამხედრო ჟურნალში ვერ ეცნობოდა ქართული არმიის ცხოვრების ნუაზებს.

„არსენალის“ რედაქციამ გამოიჩინა ინიციატივა და თავდაცვის სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობას თანამშრომლობის აღდგენა შესთავაზა. 2004 წლის 26 მაისიდან, როდესაც „არსენალის“ პირველი ნომერი გამოვიდა, 2005 წლის დისანციისამდე საქართველოს შეიარაღებული ძალები „არსენალის“ ათასზე მეტ ეგზემპლარს იღებდნენ ყოველთვიურად.

არმაში დამოუკიდებელი სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ გავრცელების ინიციატივით 2004 წლის აგვისტოში თავად საქართველოს პრეზიდენტი — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. როგორც მან „არსენალის“ რედაქტორთან შეხვედრისას აღნიშნა, ფუნდელი, რომელიც სამხედრო საკითხებს პროფესიულად აშუქებს, აუცილებელია საზოგადოებაში სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების ასამაღლებლად.

როგორც მოგახსენებ, 2005 წელს, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ჩვენდა სამწუხაროდ, კვშირი „არსენალის“ და არმიის შორის შეწყდა. მეტიც, თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი მაღალჩინოსანი ოფიცრებს დაემუქრა, თუკი „არსენალის“ ნომრებს გიპოვით სამუშაო ითახებში ან ყაზარმებში, ჯარიდან გაგაგდებთო. არადა მეფრ ოფიცრის ითახებში რაკურული ჰქონდა „არსენალიდან“ ამოღებული ხუთჯვრანი დროშა, ქართული ტანკებისა თუ ავღანისმანქანების ფერადი პლაკატი...

დორნი მეფეზენ და არა მეფენი...

„არსენალის“ რედაქციამ თავდაცვის მინისტრ დავით კუჭერაშვილს შესთავაზა თანამშრომლობა. ჩვენი ინიციატივა შემდეგში მდგომარეობდა: „არსენალის“ ყველა ნომერში თავდაცვის სამინისტროს ვუთმობთ რამდენიმე გვერდს (მათი სურვილისამებრ), სადაც განთავსდება თავად თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული საფურცლო მასალა. რედაქცია მასალას (ან მასალებს) შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე დაბეჭდავს და გავრცელებს. ამით ჩვენ თავდაცვის სამინისტროს საშუალებას ვაძლევთ თავიხი პოზიცია გააცნოს „არსენალის“ მკითხველებს, რომელთა რაოდენობა იმედაა, მალე ერთ დივიზიას გაუტოლდება...

ამჯერად გათავაზობთ თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ ინტერვიუს იმ ქართველ სამხედროებთან, რომლებმაც ერაყში იმსახურეს.

# „მხად ვაი კემსახსერი სამქობლოს ყელენ. სადაც დაჯიროლები ...“



პირველი ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი ერაყიდან დაბრუნდა. ბატალიონი ერაყში კოალიციური ჯარების შემადგენლობაში სამშვიდობო მისიას 2006 წლის სექტემბრიდან ასრულებდა. ბატალიონის მთავარი ბესო ჯაჯანიძე მეტაურობდა და მას ე.წ. მწვერი ზონის დაცვა ევალებოდა. ზონის რამდენიმე კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული და ამ ტერიტორიაზე ერაყის მთავრობა, გაეროს შტაბბინა და რამდენიმე სასტიკი ძალები მნიშვნელოვანი ობიექტება განლაგებული. პირველი ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი ასევე ერაყის მთავრობის სახალისა და ქაქიქ ბაღდადში გაეროს მისიის საკონტროლო-გამშვები პუნქტების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ბატალიონი დაქარსებული მოვალეობას იმდენად პურგად ასრულებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სარდლობამ დანაშაულის შეიარაღებულმა ძალებმა სამადლობლო წერალები გაუგზავნა.

მთებდავად იმისა, რომ 26 მაისის ალღუმსთვის ემზადებოდა და ძალზე დაკავებული გახლდათ, მთავარი ბესო ჯაჯანიძე ინტერვიუზე დაგვთანხმდა:

— რამდენად რთული იყო იმ მისიის შესრულება, რომელსაც თქვენი ბატალიონი ასრულებდა?

— ბატალიონის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა დავისრა. ქართველი სამხედროები ტერიტორიის დაახლოებით 50-60%-ს ვაკონტროლებდით. მოსახლეობა ჩვენი კსყოფილი იყო. მისარა და მეამყება, რომ მისიას კარგად გავართეთ თავი და ბატალიონის ყველა ჯარისკაცი სამშობლოში უცხელები დაბრუნდა. ამ გადასახედიან სხვა ყველა სირთულა, რომლის დაძლევაც მოეხდა, უმნიშვნელოა. ქართველი კაცი ყველაზე მეტად სამშობლოს სიმორეს ვაჩვიდს. გვენატყვიდა ოჯახის წევრები, შვილები, მაგრამ ეს ინტერნეტისა და ტელევიზიის საშუალებით იღლდა არა, მაგრამ მაინც დაგვლიეთ.

სამშვიდობო მისიას ბაღდადში ვასრულებდით. მწვანე ზონა მაქსიმალურად არის დაცული. მიუხედავად ამისა, საფრთხე მაინც დიდია და ქალაქში ბაღდადის გარემო გარდაადგილება შეუძლებელია. კოალიციური ჯარების შემადგენლობაში სამსახურმა ბატალიონის უდიდესი გამოცდილება შესძინა, რაც მომავალში ჩვენს ქვეყანას გამოადგება.

**— რა მოგონებები ჩამოგვკვთა შორეული ქვეყნიდან?**

— 23 ნოემბერს, ვიორუბას, ბრიფინგი მოვაწვეეთ, კოალიციური ჯარების თითქმის ყველა წარმომადგენელი მოვიწვიეთ, ვილაპარაკეთ საქართველოზე, ქართული კერძების დეგუსტაციაც გაუმართეთ. 19 იანვარს, ნათლისღებას კი ჩვენი ბატალიონის დაარსების მეორე წლისთავი დავითხვავ და ეს დღესასწაულიც ვიხიეთ.

ჩვენი ბატალიონი აქტიური სპორტული ცხოვრებითაც გამოირჩეოდა. თავისუფალ დროს კოალიციური ჯარების სამხედროები ფეხბურთის ჩემპიონატებსაც კმარა თვლიდით. ჩვენმა გუნდმა თითქმის ყველა თამაშში მიიგო, მხოლოდ ერთი მატჩი დავამთარეთ ფრედ. ჩვენს ნაკრებსა და ქართველ გულშემატკივარს ინგლისელების ჯვარი არ გაეაყილეთ და მათ სამჯერ მოუვგეთ. თითოეულმა ჩვენანამ უამრავი მეგობარი შეიძინა, ეს არც არის გასაკვირი, ქართველები ხომ მეტად კეთილმოყვარენი ვართ.

**— თქვენ მეტად რთული და ვაჟბატონი არჩე-**



**ვანი გააკეთეთ. სამხედრო კარიერაზე ბავშვობიდან ოცნებობდით თუ იყო რაღაც ისეთი, რამაც თქვენი არჩევანი განსაზღვრა?**

— 33 წლის ვარ. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1992 წლიდან ვმსახურებ. გულახდილად გითხრაო, არასდროს მქონია დიდი სურვილი სამხედრო გაემხდარიყავი. თურთილედ ფაქულტეტზე ვსწავლობდი და კრიმინალური საქმეების გამოძიებაზე ვოცნებობდი, მაგრამ 1992 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. ამ პერიოდს საქართველოში საბო-

ქალაქი ომი და ტერიტორიების დაკარგვა დავითხვავ, ბრძოლაწავებულმა მუნდირმა და ლამის ვაუფასურებულმა ეროვნულმა ფასეულობებმა სამხედრო სამსახურისკენ მიმიბოძა. 1995 წელს პირველი სამხედრო წოდება — უტროსი ლიტენანტობა მივადე, მოგვანებით თურქეთში ჯავშანსატანკო სასწავლებელ დავამთარე და რამდენიმე დონის სამეთაური კურსი გავთარე. 2006 წლის 28 მაისიდან პირველი ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მეთაური ვარ. იმედი მაქვს, ოდესმე ოცნება ამხნდება და საქართველო გამოდიანდება.

**— ოჯახი და სამხედრო ცხოვრება — როგორ ათავსებთ ერთმანეთთან, პროფესიას ხომ არ გინუნებენ?**

— მეავს მეუღლე და ქალ-ვაჟი. ბავშვებს ჯარის სიყვარულს ვუნერვავ, ვავს მფრინავის პროფესიასა მოსწონს და ეს ძალიან მსარებს. ბავშვებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩატარებულ ყველა დონისძიებას ვასწრებ. მიმანია, რომ პატრიოტული სულისკვეთება ამათ უფრო გაულრძელებოდა. საქართველოს პატრიოტი ოფიცრები ნამდვილად სჭირდება. ჩემი მშობლებიც პატრიოტი ქართველები არიან. სწორედ მათ შეხსწევს ხელი, რომ სამხედრო პირი გაემხდარიყავი.

**— საქართველოში დაბრუნებულს რა ბეგმები გაქვთ?**

— ვაგრძელებ სამსახურს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და მზად ვარ, ვემსახურო სამშობლოს ყველგან, სადც დავჭირდები.



**საბთია ყურაშვილი  
თავდაცვის სამინისტროს  
საზოგადოებრივ საქმეთა  
დეპარტამენტი**

სულ მალე დასრულდება საქართველო-აშშ-ის სამხედრო პროგრამა „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაცია“, რომლის ფარგლებშიც დაახლოებით 3000 ქართველი სამხედრო მოსამსახურე გაინწინა. ერთმანეთს დაემშვიდობებიან ამერიკელი და ქართველი სამხედროები, რომლებსაც ორი წლის განმავლობაში ხშირად უხვებოდათ თვლის დეზა პოლიგონსა და სხვადასხვა ლაშქრობებში. დაემშვიდობებიან იმ იმედით, რომ მათი საბრძოლო მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება.

14 და 20 აპრილს, კრწანისის სასწავლო ცენტრის პოლიგონზე, რომელსაც მოსახლეობა „აჭერიკულ ბაზასაც“ უწოდებს, ორი საზეიმო ცერემონია გაიმართა. პირველმა „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციის“ დასრულება თავდაპირველად მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის აღნიშნა, ერთი კვირის თავზე კი შესანგრეთა ასეულმა. ორივე ღონისძიება ერთმანეთს ჰყავდა: ორკსტრიით, სააბათი სტუმრებით, საზეიმო მღერით, მოსასალმებელი სიტყვებით, სამასსოფრო ფოტოგრაფიასა და სერტიფიკატებით, მაგრამ საზეიმო სცენარის შაბლონური ელემენტების მიუხედავად, ეს მაინც არ იყო ჩვეულებრივი ღონისძიება. მიზეზი მარტია: ორივე გამოშვების ქართველი სამხედროები პოლიგონზე შეებიდ უნარჩევებს მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში, ერაყში, გამოიყენებენ. „ეს არის შეგნებული არჩევანი, რაც აუცილებელი პირობა იყო ყველა რეკრუტისთვის საქართველო-აშშ-ის პროგრამაში მოსახვედრად“, – გვითხრა



## ქართველი და აშერიკელი სამხედროების გოლო რანდევუ ქრწანისის პოლიგონზე

კარალმა მამუკა ბანძულაძემ, ოჯახი შეეგუა ჩემს არჩევანს. სხვა გზაც არ იყო და, რა ვიცი, როგორც ამბობენ, საშიში არაფერია. იციან, რომ მივდივარ და დამილოცავენ გზას. გული იმაზე მწყლება, რომ ერაყში მივდივარ მშვიდობის დასამყარებლად და არა აფხაზეთში, მაგრამ ბრძანება ბრძანება და ჯარისკაცმა უნდა შეასრულოს“.

ქართველ სამხედროებს გზას, სავარაუ-

დოდ, ზაფხულში დაულოცავენ, რადგაც ერაყში ქართული სამხედრო კონტინგენტის მორეო როლაცაა მოხვება. მანამდე კი ქართველ შეიარაღებს გზა ამერიკელმა ინსტრუქტორებს დაულოცეს. ინსტრუქტორთა მეტაურმა, მათი რამდენიმე ვიზიტს მალე შეფასება მისცა ქართული ბატალიონის მომხატვას, ხოლო რამდენიმე გამარჯვებულ სერჟანტსა და ოფიცერს საზეიმო ვითარებაში პირადად გადასცა ქუჩის სერტიფიკატები. „თქვენ ხართ საუკეთესო ჯარისკაცი თქვენს ასეულში და ეს აუცილებლად უნდა ვაღიაროთ. იმედა, მოეწონათ ის სწავლება, რაც ერთად გავაერთო. ასე რომ, წარმატებას გისურვებთ ერაყში“, – ასე მომართადა მათი ქართველ სამხედროებს.

ცერემონიის დასრულების შემდეგ, კრწანისის პოლიგონზე მათორ გრეც ვიზნის ვიზუეტი, დეისასათებრა ქართული ბატალიონი. განსაკუთრებით გაინტერესებდა დისციპლინისაში ქართველი სამხედროების დამოკიდებულება, რადგან სტერეოტიპი, რომ ქართველებს ყველაზე მეტად უკვირთ დისციპლინისთან შეგუება, ერთი ყველაზე გავრცელებული და ხშირად არცთუ უსაფუძვლო შეფასებაა. გრეც ვიზნსა, რომელიც 10 თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული ქვედანაყოფების წვრთნას, გვითხრა, რომ ამჟამად ქართველი სამხედროების სიმამაცით და მათთან ერთად ერაყშიც კი სამიყნებთ იმისა უნებდა.



„როგორც ჩემს გამოცვლაშიც ვთქვი, იმ 10 თვის განმავლობაში, რაც ჩვენ აქ ვიმყოფებით, სასიამოვნო იყო ქართველი სამხედროების გაწვრთნა და მათთან მუშაობა“, — ამბობს გრეგ ჯონსი, — თქვენი ჯარისკაცები დისციპლინირებული არიან, ბევრს მუშაობენ და სწრაფად ითვისებენ. მათ შეიძინეს ის გამოცდილება, რაც ერავში მისის შესასრულებლად იქნება საჭირო“.

როგორი შთაბეჭდილება დარჩათ თავად ქართველ სამხედროებს ამერიკელ ინსტრუქტორებზე, დიდი ქვეყნის წარმომადგენლებზე, რომელთა ყაზარმები და საყოფაცხოვრებო პირობები ბევრად სჯობს ქართველებისას, ხელფასში სხვაობაზე რომ არაფერი ვთქვათ. თუ ქართველი პროფესიონალი ჯარისკაცის ხელფასი 500 ლარს აღწევს, მისი ამერიკელი კოლეგა, სამვილინებო დანამატის ჩათვლით, სულ მცირე, 15-ჯერ მეტს იღებს. ასეთი სხვაობა ხშირად იწვევს დაპირისპირებას ადამიანებს შორის, თუნდაც ისინი ერთი ერის წარმომადგენლები იყვნენ. ქართველი სამხედროები, ვისაც აზრის გამოთქმა ვიზივით, ამერიკელ ინსტრუქტორებს გულდა, შოინისტური გამოვლინებებისაგან თავისუფალ ადამიანებად ახასიათებდნენ. როგორც კაპრალიმა ემზარ დემეტრაძემ ვითხრო, ყოველთვის სისარულით შეხვდებო ამერიკელ მეგობრებს, რომლებიც მან წვრთნისას შეიძინა.

„გული გვწყდება, რომ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს, აღარ გვექნება კვლავ ერთად შეკრების შესაძლებლობა, — ამბობს ემზარ დემეტრაძე, — მაგრამ თუ კოლეგ

ჩამოვლენ, ძალიან გავცხარდებო. მათთან უკვე არა მხოლოდ საბრძოლო, არამედ პირადი მეგობრობაც გვაკავშირებს“.

სულ მალე მე-3 ქვეითი ბრიგადის შეიქმნა ახალ მეგობრებს და თანამებრძოლებს ერავშიც შეიძინენ და, არა მხოლოდ ამერიკელების სახით. საქართველოს ხელისუფლების გადარწმუნებით, ზავხელში ერავში, ელ-კუმტი, ქართული ბრიგადა 2000 კაცის შემადგენლობით გაემგზავრება. როგორც საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჩანიძემ ამ ვითხრო, ქართული ქვედანაწილის დაქვემდებარებაში შევა დაახლოებით ცხრა ქვეყნის კონტინგენტი და საქმიად ვრცელი ტერიტორია მდინარე ტიგროსის სანაპიროზე. მანამდე ვლადიმერ ჩანიძამ, რომელიც 2005 წელს ერავში დისლოცირებული ქართული ბატალიონის მეთაური იყო, ქართველ ჯარისკაცებს ასეთი სიტყვებით მიმართა: „იბრძოლეთ ამყად, რადგან დღეს საქართველომ თავი გამოიჩინა მეგობრობაში, თანაფლობაში. როდესაც ჩვენს მეგობარს დასჭირდა გვერდზე დღეობა, ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ქვეყნამ ამ გამოძახილს მხარდაჭერით უპასუხა და გაჭირვებაში არ მიატოვა“.

საქართველო „მეგობრულ ვალს“ ანტიერავულ კოალიციაში 2003 წლის აგვისტოდან იხდის და არცთუ ურიგოდ. თავდაპირველად, ქართული კონტინგენტი 79 კაცს ითვლიდა, ერთი წლის შემდეგ ქართული კონტინგენტის რაოდენობა 300-მდე გაიზარდა. 2004 წელს ეს რიცხვიც გაორმაგდა და 850 კაცს მიაღწია.

ამჯერად კი ლაპარაკია ქართული ქვედანაწილის 2000 კაცამდე გაზრდაზე, რთაც საქართველოს, შერეობული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტი ეწოდება ერავში. თანაც, იმ პროინციაში, რომელიც უკრაინის ბრიგადამ 2005 წლის დეკემბერში დატოვა. ნათლად ვიქნებით თქვენთვის განსხვავებით, ასე ვადასწავებთ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ეს საქართველოს მოსახლეობას მარტის დასაწყისში, გორში მშენებარე სამხედრო ბაზის მონახულებისას ამცნო.

„ჩვენ გვირბნება დავანახვით ყველას, რომ ქართველები არასდროს არსიადან არ გაიტყვევან. ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ სამხედრო მისია ერავში“, — განაცხადა შვიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა.

ალბათ, ძალიან იშვს წავეცივანს და არაკორექტულიც იქნება იმის გახსენება, რამდენჯერ უჩვენებიათ ზურგი ქართველ სამხედროებს თუ პოლიციელებს ბოლო წლებში მომხდარ „ერთულ სიტუაციებში“, მაგრამ როგორც იტყვიან, წილი ნაყარია და ქართული ბრიგადის გამგზავრებას ერავში უკვე ხელს ვერაფერი შეუშლის. ისღა დაგვრჩენია, ერავში მშვიდობით ჩასვლა და მინ შვიდობით დაბრუნება ვუსურვით ყველა ქართველ ჯარისკაცსა და ოფიცერს, რომელთაც ელ-კუმტი მოუწვევთ მეტად საბასუხისმგებლო სამხედრო მისის შესრულება.

კობა ლიკლიძემ

გრეგ ჯონსი: თქვენი ჯარისკაცები დისციპლინირებული არიან, ბევრს მუშაობენ და სწრაფად ითვისებენ. მათ შეიძინეს ის გამოცდილება, რაც ერავში მისის შესასრულებლად იქნება საჭირო



# დღღგორის ბრძოლის გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. ეს გამარჯვება დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის, ქვეყნისათვის თავდადების სიმბოლოა. იმავდროულად, დიდგორი ქართული სამხედრო წარმატების ნიმუშებია.

დიდგორის ბრძოლის გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. ეს გამარჯვება დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის, ქვეყნისათვის თავდადების სიმბოლოა. იმავდროულად, დიდგორი ქართული სამხედრო წარმატების ნიმუშებია.

არ იქნებოდა დიდგორი, რომ არა დავით IV აღმაშენებლის 32-წლიანი მღვდლმწიგნულობა. არ ექნებოდა საქართველოს „ოქროს ხანა“, დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვება რომ არ მოგვეპოვებინა. მსოფლიოს ნებისმიერი ერი ამჟამის თავისი სამხედრო წარმატებებით. ხშირ-

ად დიდი პომპეზურობით აღნიშავენ ამ დღეს. ბუნებრივია, ქართველებსაც გვმართებს მოუფრთხილდეთ ჩვენს ისტორიულ მემკვიდრებს და სათანადო პატივი გვცეთ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ვიწროებში მდგარ ქართველ შემორებს გაითვინებობიერებულე ჰქონდათ, რომ ეს დღე მათი სამშობლოსათვის, მათი ოჯახისათვის უდიდესი გადამწყვეტი გამხდარიდა. არა და ბერი საგანგებოდ ეწაღებოდა. სამეფო კარი ჯარის საბრძოლველად ამზადებდა. ეკლესიებში ქართველთა გამარჯვებისათვის ღოცვას აღავლენდნენ. სამწესობრივად, წერილობით წყაროებს არ დაუტყვევებს ცნობები, როგორ ეწაღებოდა ქართველთა დიდგორის ბრძოლისათვის, ეს ამბები საუბრად ჩაიკარგა ისტორიის ქარტეხილებში. რამდენ უდიდო ღამეს გაატარებდა დავით აღმაშენებელი ბრძოლის საბოლოო გვეგმის შემუშავებისას. მტერი საკმაოდ გამოცდილი იყო და ამიტომაც ყოველგვარ გათვლილი, დათვლილი უნდა ყოფილიყო.

მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი ნელ-ნელა მოიწვედა საქართველოს ხიდმისკენ. მტერი დიდ იმედს ამყარებდა ამ ლაშქრობაზე. ერთხელ და საუბრად „ჰკეპო უნდა ესწავლებინათ“ ქართველთათვის, რომლებმაც არა მარტო შეგვიწროეს თურქ-სელჩუკები, არამედ ამიერკავკასიაში პირველობისათვის დაიწყეს ბრძოლა. 1020-1021 წლები ქართველთათვის მტედ წარმატებული იყო. დავით აღმაშენებელმა რამდენიმე დიდ გამარჯვებას მიაღწია თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში. 1120 წლის 14 თებერვალს ქართველებმა ბოტორასთან დაამარცხეს თურქები. მალე ქალაქი ყაბალაც აიღეს და შირვანიდან განდევნეს მტერი. იმვე წლის ნოემბერში დავითმა აშორნასთან სასტიკად დაამარცხა სელჩუკები. ქართველთა წარმატება 1121 წელსაც გაგრძელდა. ამიერკავკასიაში ქართველთა სამხედრო უპირატესობა აშკარა იყო. ამით შემოფრთხილებმა განძელ-თბილისელმანქანმა ვაჭრებმა და ადგილობრივმა მაჰმადიანმა მმართველებმა სპარსეთის

სულთანს სთხოვეს დახმარება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. სულთანმა მაჰმედ მუჰამედის ძემ მიუღო მაჰმადიანურ სამყაროს მიმართა თხოვნით, შეეკრათ ბათ დიდი კოალიციური ლაშქარი ქართველთა წინააღმდეგ, სულთანის თხოვნას ბევრი გამოეხმაურა. უმოკლეს ხანში შეიკრიბა 300-400-ათასიანი არმია. მას მაჰმედ მუჰამედის ძემ სარდლად ნეჟმ ად-დინ ილღაზი უწავ. აღმოსავლეთში ილღაზის სახელი დიდების შარავანდელით იყო მოხილი. იგი ფლობდა ბაღდადს, მარდინსა და ალუპის ციხე-ქალაქებს. ილღაზმა განსაზღვრებით გამოიჩინა თავი ევროპელ რაინდებთან ბრძოლაში. 1119 წელს მან მდინარე თრონტის ნაპირებთან, ე.წ. სისხლიან ველზე, სასტიკი დამარცხება აგვის ვაჯროსნებს. ამ გამარჯვების გამო ილღაზს „ნეჟმ ად-დინი“ – „სარწმუნოების ვარსკვლავი“ უწოდეს.

ნეჟმ ად-დინ ილღაზთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ღუბაის ემირი იბნ-სადაც, თოღრულ მუჰამედის ძე, თულან არსლან კუჩიანი, განძის ათაბაგი და სხვა მაჰმადიანი მმართველები. აგვისტოს დასაწყისში მაჰმადიანური კოალიცია საქართველოსაკენ დამიძრა. ილღაზი ჯერ არზრუშში მოვიდა. სწორედ აქ უნდა მოეყარათ თავი სხვადასხვა მხრიდან წამოსულ ილღაზის მოლაშქრეებს. თოღრულ მუჰამედის ძე განძის მხრიდან, ხოლო თულან არსლან კუჩიანი დენის მხრიდან მოემართებოდა. პაემანი თრიალეთში იყო დათქმული. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მტერი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხოს ზედა ვერ ეტყოდეს ამით ადგილთა“. დავით აღმაშენებელი დიდგორის ვიწროებში ელოდებოდა მტერს, რომელიც იყო „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა“. სრულიად სამართლიანად მიუთითებს აკად. რიონ მტერკელი, რომ დიდგორის მებრძოლობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მერ მისი ბრძოლის ადგილად შეჩვენება. დიდგორის ვიწროები მტერს საშუალებას არ მისცემდა, ვაშლიდეს და თავისი რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინა.


მაგრამ მაჰმადიანური კოალიციის დიდგორზე შემოტევა არც ისე ადვილი იყო. ილღაზს ჰქონდა თბილისამდე მისაღწევი სხვა გზაც. დავითის წინაშე იდგა ერთი ამოცანა, მას სამხედრო ემზა-



კობით უნდა მოეტყუებინა მტერი და ისე უნდა მიეყვანა ქართველებისათვის საჭირო პოზიციებზე, რომ ის ვერაფერს მიხედვარყო. სხვაგვარად გეგმა ჩაიშლებოდა. მაშინადაც ავტორს ქება აღ-დინს აქვს ერთი ცნობა, რომელიც ნათელს ჰყენს ქართველთა სამხედრო ხრიკს. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „მუსლიმანებმა, რომლებმაც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი (ე. ი. ქართველები) მძიმე მტერს და მოექცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე (თარგ. გ. კუტაისისი)“. როგორც ვხედავთ, დიდგორი არ ყოფილა ქართველებისა და მამაქალიანური კოალიციის დაპირისპირების პირველი პუნქტი. ამ სამხედრო კამპანიის ფარგლებში მათ მანამდე ჰქენიათ შეტაკება, მაგრამ ქართველები მასში დამარცხებულან. აქ ერთი რამაა გასარკვევი: ქართველები მართლა დამარცხდნენ თუ სტრატეგიული მიზნების გამო დამარცხების სცენა გაითამაშეს. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო მისაღებია, რამეთუ სწორედ ამ სამხედრო ხრიკის წყალობით დავითმა მტერი საფარში შეიტყუა. ეს, ვინც დიდგორზე ყოფილა, დამოკიდებულა, ჰქვამდა და გამოცდილი სარდალი აქ ჯარის ნამდვილად არ შეუცვალა, მათ უშეტეს, თუ ჯარის რიცხოვნობაზე აკეთებს აქცენტს. ილღაზი საკმაოდ გამოცდილი იყო იმისათვის, რომ სამხედრო სტრატეგიის ეს ლოპუნტარული დეტალი არ სცოდნოდა. ჩვენი აზრით, ილღაზს ქართველები უკვე „დამარცხებული“ ვგონა, როდესაც დიდგორზე მივიდა. ამის იმიტაცია დავითმა შეუქმნა. ამდენად, საქართველოს საზღვრის გადმოღახვიანდნე ილღაზს ვგონა, რომ მოქმედებდა საკუთარი სამხედრო გეგმის მიხედვით, არადა ეს იყო ქართველი მხედართმთავრების მიერ წინასწარ შემუშავებული სტრატეგია.

1121 წლის 12 აგვისტო, გარიაფრა. დიდგორის ველზე ჯარ კიდევ სიწყინარა, მხოლოდ აბერის უღარუნი და ცხენების ფრუტუნი იმის. აქა-იქ მოძიებო გადასახებენ ერთობის. დავითმა ჯარის საბრძოლო მზადყოფნა ბრძანა. ხუცესები მოძიებენ ლოკავენ. ანტიოქიის სამთავროს კანცლერ გუტიეს ცნობით, ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელს მგზნებარე მოწოდებით მიულოცავს შემობრუნებისა: „შემობრუნე ქვისსენსანი! თუ დავითის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძობათ, არამც თუ ეშმაკის ურიცხე მიღვრებოთ, არამედ თვით ეშმაკსაც აღ-

ლიდგორის ბრძოლა



ვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე ვირჩევო, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ, ყველამ, ხელების ცისკენ აპირებთ, ძლიერ მტერს აღიქმამ მიეცეო, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებთ და არ გაევიცვებით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცეო, კიდევ რომ მოვიწოდებო, ან ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსვლავთ, ხეთა ხზირი ხირვებით შეგვართო და მტერი, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულთი დაუნდობლად შეუერთით.“

ბრძოლის წინ დავითმა საგანგებოდ შეიარაღა 200 მეომარი. მათ უდიდესი მისია დაეკისრა. ბრძოლის ბუდი ბეგრად იყო დამოკიდებული იმაზე, როგორ შესრულდებდნენ მეთვის დავლებას. მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ სამშობლოს, რწმენისა და მეფის ერთგულებისათვის სიკვდილზე მიდიდნენ. რაიდან გულდასასწევებია, რომ ამ 200 გმირი ქართველის სახელები არ ვიციო.

გაიგუნდა. უეცრად ქართველთა ლაშქარს 200 მეომარი გამოეყო და ილღაზის ბანაკსავე დაიბრა. მორჩილები ნიშნად ხმლები მალდა ჰქინდით აწეო. მტერმა იფიქრა, დანებებას აპირებენ და კარგა დრმად შეუშვეს ბანაკში. უეცრად ქართველებმა იარაღი იმისშვლეს და მოწინააღმდეგეს დაერივნენ. ილღაზის მეომრები დაიბნენ. სანამ გონს მოვიდნენ, დავით აღმაშენებელმა მტერს რამდენიმე მხრიდან შეუტია. ლაშქრის ცენტრს დავითი ეჯგა სათავით. ფლანგებზე

ვიგზალთა და დემეტრე უფლისწულის ჯარები იყო განლაგებული. ბრძოლის დაწყებისთანავე დემეტრე უფლისწული დიდგორის ერთ-ერთი მიოდან დაეშვა და ილღაზის არმიას გვერდიდან შეუტია. პირველივე შეტობილებისას მტრის ბანაკი შეიფრა. სარკინოზის არ ელდნენ ქართველთა ასეო სწრაფ და ფართომასშტაბიან იერიშს. დავითმა მართლაც გენიალური სამხედრო გეგმა დაუპირისპირა ილღაზს. მტერი 300-400 ათასამდე იყო, ხოლო ქართველთა ლაშქარი 55600 მოლაშქრისაგან შედგებოდა. სარკინოზთა რიცხოზობი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ხანგრძლივო მს ქართველთა ლაშქარი ვერ გაულებდა. ამტობმაც პირველ შეტევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ბრძოლა სამ საათამდე გაგრძელდა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა იერიშს და უკუიქცა. ბრძოლის ბუდი გადაწყვეტილი იყო. ილღაზის არმიას ქართველებმა დიდგორიდან 70 კმ მანძელზე სლებს. ტყვე და ალავი აუარებელი იყო. მართლაც, დიდგორზე ქართველთა მიმუდებელი შეძლო. მტრისხვეტი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი დიდგორის გამარჯვებას „ძლიეგვი საკვირველს“ უწოდებს.

ქართველი ერთი ყოველთვის მოწინეებით იხსენებდა დიდგორის გმირებს. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კი ხალხმა ერთგული დღესასწაული „დიდგორიბა“ დაწესა.

# ჩეხეთის რესპუბლიკა ცდილობს L-159 Alca მოგვიყიდოს...



L-159 ALCA

## გამანადგურებელი ნაფლად გპჩირღვა, მებრამ არა ჩხხური „ალკა“

საქართველოს ხელისუფლებამ ფოვლეოვის ცდილობს, არ გაახშივანოს ინფორმაცია ამ თუ იმ სახის იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის მორიგე პარტიების შექმნის თაობაზე. ამის თავისი მიზეზები აქვს, პირველ რიგში კი ის, რომ მუშობელი რუსეთი, თავისი სპეცსამსახურებითა და დიპლომატიური ნოტიებით, ეცდება ჩაშალოს ასეთი გარიგებები.

გეროს სპეციალურ რეესტრში წლის ბოლოს აუცილებლად იქნება მიითიებული, რა რაოდენობისა და ტიპის სამხედრო ტექნიკა შეიძინა საქართველომ (ასეთი მონაცემები ყველა იმ ქვეყანაზე ვრცელდება, რომელიც ყიდის ან ყიდულობს სამხედრო დანიშნულების პროდუქციას), სამაგიეროდ, მოგებული იქნება დრო.

აქედან გამომდინარე, თავად საქართველოს ხელისუფლებისთვის და უპირველესად თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის სრულ მოულოდნელობად იქცა თბილისიდან პრღაღში დაბრუნებული ჩეხეთის ოფიციალური დელეგაციის ზოგიერთი წევრის განცხადება.

კერძოდ, დელეგაციის წევრმა, ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მარტინ ბარტოკმა საინფორმაციო სააგენტოს განუცხადა, რომ საქართველო ორ თვეში გადაწყვეტს, შეიძინოს თუ არა ჩეხეთის შეიარაღებული ძალებისგან L-159 Alca-ს ტიპის ათი გამანადგურებელი თვითმფრინავი.

„არსენალის“ ინფორმაციით, ჩეხ მინისტრის მოადგილეს მართლაც ჰქონდა

ამ საკითხებზე მოლაპარაკება ქართველ კოლეგებთან, მაგრამ მისთვის არავის მიუცია პირობა, რომ აუცილებლად ვიყიდოთ „ალკებს“. როგორც ჩანს, ეს თავად ოფიციალური პრღადის ინიციატივა უფრო იყო, რადგან ჩეხეთი ბოლო წლებში ძალიან არ იშურებს, „ალკები“ რომელიმე ქვეყანას მაინც მიჰყიდოს, თუმცა უშედეგოდ.

„ალკა“ ცნობილი ჩეხური სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავის L-39 „ალბატროსის“ შემდგომი მოდიფიკაციაა და მისი საბრძოლო ფუნქციები შემდგენიარადა განსაზღვრული: – მიიერიშე, ტაქტიკური დაზერვა, ბერამდელი სიქართი მფრენი საჰაერო სამიზნეები ჩამოღება, საზღვრების პატრულირება და საბრძოლო მოქმედებისთვის პილოტების მომზადება.

„ალბატროსისგან“ განსხვავებით, „ალკა“ ერთადელიანია, ანუ არ აქვს სასწავლო ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა, სამაგიეროდ, ცხვირში პატარა რადიოლოკატორი აქვს დაყენებული. საბორტე რადიოლოკატორი მას საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად აღმოაჩინოს საჰაერო სამიზნე და მასზე იერიში მიიტანოს.

გამოდის, რომ „ალკას“ შეუძლია შეასრულოს ის საბრძოლო ამოცანა ქართულ ცაში, რაც არ ძალუქს არც მიიერიშე Cy-25-ს (თუნდაც მოდერნიზებულ „სკორპიონს“), არც L-29 „დელფინსა“ და არც L-39 „ალბატროსს“.

გამანადგურებელ-გზავადამჭრელი თვითმფრინავების ორი რგოლი (6-8 თვითმფრინავი) მაინც ვეჭვირება, რომ აღმოაჩინო და დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრები გაჯაონტროლოთ, რადგან მხოლოდ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებითა და საზენიტო არტილერიით ქართული ცის ჩაქტვა ძალიან ძნელია, შეუძლებელი თუ არა.



L-159 ALCA

L-39ZA



**ჩემი დროსი: L-159 Alca-ს**  
 71 ეგზემპლარი არის ჩეხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში (ერთმა „ალკამ“ 2002 წელს კატასტროფა განიცადა). თვითმფრინავის ფრთაგაშლილობა 9,54 მ-ს აღწევს, სიგრძე — 12,72 მ, სიმაღლე — 4,77 მ-ს. ცარიელი გამანადგურებელი 4,1 ტონას ინონის, მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 8 ტონას შეადგენს. ფრენის მაქსიმალური სიჩქარეა 936 კმ/სთ, ფრენის „ჭერი“ 13,2კმ. „ალკას“ 2200 კმ საერთო მასის რაკეტებითა და ბომბების ტარება შეუძლია.

ჩეხური „ალკა“ შედარებით იაფვანადი გამანადგურებელია, რომელიც ჩვენარი, ე.წ. მესამე ქვეყნისთვისაა გათვალისწინებული. მისი ექსპლუატაცია უფრო იაფი ვალდა, ვიდრე სხვა სრულფასოვანი გამანადგურებლისა. ამასთან, ჩვენს პილოტებს არ გაუჭირდებათ მისი ათვისება, რადგან თითქმის ყველა მათგანს ნაფრენი აქვს „დეფინისა“ და „ალბატროსზე“. „ალკა“ კი მათგან არც ისე დიდად განსხვავდება პილოტირების მხრივ.

გარდა ამისა, „ალკას“ აქვს დასავლური წარმოების შედარებით თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურა, რომლის ინტეგრაცია NATO-ს სტანდარტებში მწელი არ არის.

ამ სამი მისაღები არგუმენტის მიუხედავად, ჩეხური მსუბუქი გამანადგურებელი თვითმფრინავი L-159 Alca მაინც ნაკლებად გამოიყენება საქართველოს სა-

ჰაერო სივრცის სრულყოფილად გასაკონტროლებლად. ჩვენ უფრო სერიოზული გამანადგურებელი თვითმფრინავი გვჭირდება, თუნდაც MiG-29 ტიპის.

მაგალითად, ორი წლის წინ შუა აზიის ერთ-ერთი პოსტსაბჭოური რესპუბლიკა 3,2 მლნ დოლარად დიდი საფრენოსანი რესურსის მქონე MiG-29-ებს კეთავაზობდა. თითოეულ თვითმფრინავზე თანამედროვე დასავლური რადიოელექტრონული აპარატურის დაყენება ერთ მილიონ დოლარამდე დაგვიჯდებოდა (როგორც ეს ერაულმა „ეილიტმა“ „სკორაპონის“ შემთხვევაში განახორციელა), შესაბამისად, დახვლებით 5 მლნ დოლარად მივიღებდით საბჭოთა-დასავლურ ნავჯარ გამანადგურებელ თვითმფრინავს, რომელსაც არც NATO-ს სტანდარტებთან ექნებოდა პრობლემები და რუს პილოტებსაც დააფიქრებდა კავკასიონის ქედის გადმოლახვისას.

ეს ავტორის პირადი მოსაზრებაა და მას შეიძლება ზვერი არ დაეიანზოს, ისევე როგორც კიდევ ერთ ნიუანსს, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. ყოფილი თავდაცვის მინისტრის დროს

24903



L-39C „ალბატროსი“ და L-29 „დეფინი“

თავდაცვის სამინისტროს ადრინდელმა ხელმძღვანელობამ არჩევანი უკრაინისა და L-39C-ზე შეაჩერა და არა ბულგარეთისა და უფრო მეტის შემთხვევაში L-39ZA-ზე...

საქართველო  
საჰაერო ძალები  
მარტის 2007 წლის  
ბიბლიოთეკა





**„აღმატროსისგან“ განსხვავებით, „ალკა“ ერთადგილიანია, ანუ არ აქვს სასწრაფო ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა, სამაგიეროდ, ცხვირში პატარა რადიოლოკატორი აქვს დაყენებული. საბორტე რადიოლოკატორი მას საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად აღმოაჩინოს საპიერო სამიზნე და მასზე იერიში მიიტანოს.**

უკრაინაში შექმნილ იქნა ექვსი ცალი ორადგილიანი სასწრაფო-საბრძოლო L-39C „აღმატროსი“. „არსენალის“ ინფორმაციით, ისინი L-39C მოდიფიკაციისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გამოყენება სასწრაფო მიზნებით თუ შეიძლება. საბრძოლო ფუნქციის შესასრულებლად L-39C-ზე ორი პილოტი იკიდება (თითო-თითო ფრთის ქვეშ), ორ პილონზე შეიძლება ჩამოიკიდოს ორი 100 კგ-იანი საავიაციო ბომბი ОФАБ-100 ან ორი სითბური დამიზნების „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მოძველებული რაკეტა P-3V ან ორი 16-ლულიანი უნივერსალური ბლოკი УБ-16-57У, რომლიდანაც 16 ცალი 57 მმ-იანი С-5 უმართავი რაკეტის გაშვება შეიძლება (თითოეული ბლოკიდან). ავიაციაში ნაკლებად გათვითნებურებულმა მქოთხელმა შეიძლება თქვას: თქვე

დალოცვილებო, მეტი რა გინდათ სასწრაფო-საბრძოლო თვითმფრინავისგან!  
მეტი ის გვინდა, რომ გასულ წელს გვექონდა დიდი შანსი, შეგვეძინა „აღმატროსის“ უკეთესი მოდიფიკაცია თითქმის იმავე ფასად.  
თავდაცვის სამინისტროს იმდროინდელ ხელმძღვანელებს ბულგარელებმა შესთავაზეს „აღმატროსის“ სხვა მოდიფიკაცია L-39ZA. ეს მოდიფიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სასწრაფო მიზნებისთვის, ისე მსუბუქ მოიერიშედაც.  
თავად განსაკუთრებით, L-39ZA-ს უკვე ნაყიდი L-39C-სგან განსხვავებით შეიარაღების ჩამოკიდების ორი კო არაა, ხუთი წერტილი აქვს და შესაბამისად უფრო მეტი ბომბები და რაკეტები მაქვს, ამასთან, L-39ZA-ის ფიუზელაჟის ქვეშ დამონტაჟებულია

საშტატო 23 მმ-იანი ორლულიანი საავიაციო ქვემეხი ГШ-23 150 ჭურვის მარაგით. პილონებზე შეიძლება ჩამოიკიდოს ორი 500 კგ-იანი ბომბი ან ოთხი 250 კგ-იანი საავიაციო ბომბი, ან ორი ასეთივე ბომბი, ორი უნივერსალური ბლოკი უმართავი რაკეტების გასაშვებად, ერთი კონტეინერი ტყვიამფრეკვეით და ა.შ. საბრძოლო დატვირთვის საერთო მასა ოთხ პილონზე 1100 კგ-ს აღწევს, რაც არცთუ ისე ცუდი მაჩვენებელია სასწრაფო-საბრძოლო თვითმფრინავისთვის.  
თავდაცვის სამინისტროს მამხინდელმა ხელმძღვანელომ არჩევანი უკრაინასა და L-39C-ზე შეაჩერა და არა ბულგარეთსა და უფრო მეტის შემდეგ L-39ZA-ზე. რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება, მომავალი გვიჩვენებს.

*ირაკლი ალაღაშვილი*

**ჩვენ უფრო სერიოზული გამანადგურებელი თვითმფრინავი გვჭირდება, თუნდაც МиГ-29 ტიპის, მაგრამ ეს ავტორის პირადი მოსაზრებაა და მას შეიძლება ბევრი არ დაეთანხმოს...**



# პატივცემულ რედაქციავ!

ჟურნალ „არსენალის“ №5-ში (37-40 გვ.) დაბეჭდილია თქვენი ჩანაწიბის სტატია – „სადესანტო ოპერაციები ძველი დროიდან დღემდე“, სადაც ნახსენებია აფხაზების (რუსების) დესანტის გადმოსხმა ტამიშთან:

„ქართული ფორმირებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა 1993 წლის 2 ივლისის სოფელ ტამიშთან 400-კაციანი დესანტის გადმოსხმა“. ამის შესახებ შემიძლია და ვაღიბებელიც ვარ მოგახსენით შემდეგი:

1992 წლის 1-ელი ნოემბრიდან 1993 წლის 26 სექტემბრამდე მე ვიყავი სოხუმი რადიოტექნიკური საგუშაგოს მეთაური. მიუილი ომის განმავლობაში სოხუმის რადიოტექნიკური საგუშაგო რადიოლოკაციური სადგურების „MP-10“-სა და „DON“-ის მეშვეობით საზღვლობას რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას ზღვაზე არსებული ვითარების თაობაზე. 1993 წლის 1-ელი ივლისს, შებინდებისას, გახსნილი იქნა რადიოლოკაციური ვახტა. რადიოტექნიკმა 21 საათსა და რაღაც წუთებზე (ზუსტად არ მახსოვს) აღმოაჩინა გუდათიდან გადმოსული ორი სახაოსნო ერთეული, რაც მაშინვე მოხსენდა კორპუსის შტაბის ოპერატიული მორიგეს დროისა და კოორდინატების მითითებით.

მოსხენებები აღმოჩენილ სახაოსნო ერთეულებზე შტაბში უწყვეტად, ყოველ 10 წუთში მიდიდა. გეგმი ვერ სამხრეთ-დასავლეთით გაივინენ, ხოლო შემდეგ აიღეს კურსი სამხრეთისკენ.

00.00 – 2 ივლისის დღეობისას ვახტა ჩაბარა მეორე რადიოტექნიკსმტა. გუდათიდან გამოსულ გეგმებზე კოორდინატების გადაცემა მიმდინარეობდა უწყვეტად. დაახლოებით 02.00 საათისთვის გეგმები გაივინენ საკონტროლო ზონიდან და მიეფარნენ კონცხ სკურჩას. ასე რომ, სოხუმის რადიოტექნიკური საგუშაგოს რადიოტექნიკსტეს გეგმები „მიჰყავდათ“ თითქმის 4 საათის განმავლობაში, რომლის დროსაც მათი კოორდინატები რეგულარულად გადაეცემოდა შტაბს.

მეორე დღეს ცნობილი ვახტა დესანტის გადმოსხმის ახბავი. რატომ აღმოჩნდა დესანტის გადმოსხმა სრული მოულოდნელობა, ჩემთვის გაუგებარია. რადიოტექნიკური საგუშაგოს პირადად შემადგენლობაში თავისი მოვალეობა სრულად და პირნათლად შეასრულა.

სხვადასხვა წყაროდან ჩემამდე მოსული ინფორმაცია ვახტადთ შემდეგი სახ-

ისა: ა) 1-ელში, დესანტის გადმოსხმის წინა საღამოს, ტამიშში განლაგებული ჩვენი ქვედანაყოფის პოზიციებზე აფხაზი და რუსი ქალები საბავშვო უბოკებით დადიოდნენ და არავსა და ღვივის (ალბათი, უკვე „დამუშავებულს“) ვივინენ; ბ) აფხაზები (რუსები) ორი ვეგიდან გადმოსხინენ: ერთი იყო კატამარანი „ДАГОМЫС“ სოვიდან, მეორე არ ვიცი (ჩვენი მონაცემებით, ეს იყო პატარა სადესანტო რაიონული „გუშა“. – რედ.); ვ) ხალხის ხომალდიზაზე სხვადასხვა ხმა ვრეკლდებოდა.

შემდეგ რ/ტ საგუშაგოზე მივიდა ერთი ახალგაზრდა ლეიტენანტი (სახელი და გვარი არ მახსოვს). შევარდახის სავანგებო საგამომიბეო ვგუფივინ. შეპოქნა სავანტო ჟურნალი; მე მისი თხოვინთ ჟურნალიდან 1-2 ივლისის მოვლენების ამინაწერი ვაკავივინ. მერე



აფხაზი სეპარატისტები სადესანტო ოპერაციის დროს და ოლექსანდრე ვოინსკი, კაცი, რომლის სახელთანაც დაეკავშირებულა, როგორც ტამიშის დესანტი, ისე ზღვის მხრიდან 3 სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდებია ბაბუშერის აეროპორტში...

კატამარანი „დაგომისი“



